მერების შეთანხმებასთან მიერთების ფორმა

მე, ლაშა კომახიძე, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი, მუნიციპალიტეტის საკრებულოს (თარიღი) # XXX გადაწყვეტილების საფუძველზე, ვალდებულებათა ოფიციალური დოკუმენტის მოთხოვნების (მოკლე შინაარსი მოცემულია ქვემოთ) სრული გაცნობიერებით უფლებამოსილი ვარ ხელი მოვაწერო **მერების შეთანხმება კლიმატისა და ენერგეტიკისთვის** მიერთების ფორმას.

ვადასტურებ, რომ ჩემს მიერ რწმუნებული ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო ვალდებულებას იღებს:

- 2030 წლისათვის, მინიმუმ 30%-ით შეამციროს CO_2-ის (და სხვა სათბური აირების) ემისია საკუთარი ტერიტორიიდან, ენერგოეფექტურობისა და ენერგიის განახლებადი წყაროების ათვისების ღონისძიებების საშუალებით;
- კლიმატის ცვლილების შედეგებთან შეგუებით აამაღლოს მუნიციპალიტეტის მედეგობა.

ამ ვალდებულებების შესასრულებლად, ადგილობრივი თვითმართველობა თანმიმდევრულად განახორციელებს შემდეგს:

- **მოამზადებს საბაზისო ემისიების ინვენტარიზაციას და შეაფასებს კლიმატის ცვლილებით გამოწვეულ რისკებისა და მოწყვლადობას**;
- საკრებულოს გადაწყვეტილების მიღებიდან ორი წლის ვადაში წარადგენს **მდგრადი ენერგეტიკისა და კლიმატის სამოქმედო გეგმას** და კლიმატის ცვლილების **შერბილებისა და შეგუების ღონისძიებებს** ასახავს შესაბამის ადგილობრივი პოლიტიკისა და სტრატეგიის დოკუმენტებში თუ გეგმებში;
- მდგრადი ენერგეტიკისა და კლიმატის სამოქმედო გეგმის წარდგენიდან ყოველ ორ წელიწადში, პროცესის მიმდინარეობის შეფასების, ზედამხედველობისა და შემოწმების მიზნით წარადგენს **შუალედურ ანგარიშს**;
- **გაუზიარებს** ხედვას, მიღწევებს, ცოდნასა და გამოცდილებას ადგილობრივი და რეგიონალური ხელისუფლების სხვა ორგანოების წარმომადგენლებს, ევროკავშირისა თუ მის ფარგლებს გარეთ, ინფორმაციის გაცვლისა და პირდაპირი თანამშრომლობის გზით.

ვაცნობიერებ, რომ ჩვენს ადგილობრივ თვითთმართველობას შეიძლება შეუჩერდეს ინიციატივის წევრობა (მერების შეთანხმება აღმოსავლეთით ოფისის წინასწარი წერილობითი შეტყობინების შემდეგ) - ზემოთ აღნიშნული დოკუმენტების (მდგრადი ენერგეტიკისა და კლიმატის სამოქმედო გეგმა, შუალედური ანგარიშები) წარდგენის დადგენილი ვადების დარღვევის შემთხვევაში.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტი. მისამართი ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის 25

საკონტაქტო პირი: ეთერ ლომაძე, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახურის უფროსი; ტელ: 577 201 170; ელ.ფოსტა etu.lomadze@gmail.com

[ხელმოწერა]